საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 82 16 მარტი 2018 წ. თბილისი

სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს რიგით №74 სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წესდების (რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 18 იანვრის №542 გადაწყვეტილებით) მე-9 მუხლის 9.2 "თ" ქვეპუნქტის., 9.3 პუნქტისა და 8.5., 8.7., 8.11., 8.14 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მ/წლის 31 მარტს მოწვეული იქნას სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს რიგით №74 სხდომა (დღის წესრიგი თან ერთვის);
2. სხდომა გაიმართოს სპმთპ-ის წყნეთის პედაგოგთა და მეცნიერთა სახლში 2018 წლის 31 მარტს. სხდომა დაიწყოს 12:00 საათზე;
3. დაევალოს სპმთპ-ის საორგანიზაციო დეპარტამენტს (მაია ესებუა) სპმთპ-ის 2018 წლის 31 მარტს აღმასრულებელი საბჭოს რიგით №74 სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა;
4. დაევალოს სპმთპ-ის აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს, მარინა ალუღიშვილს, სპმთპ-ის ვიცე-პრეზიდენტს საფინანსო დარგში, ნათია კორძაძეს და სპმთპ-ის ცენტრალური აპარატის შესაბამის დეპარტამენტებს (იურიდიული დეპარტამენტი - უფროსი გრიგოლ ბაკურაძე, საორგანიზაციო დეპარტამენტი - უფროსი მაია ესებუა, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი – უფროსი მელანია დარახველიძე) მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე დადგენილებათა პროექტების მომზადება;
5. დაევალოს ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს (მელანია დარახველიძე) აღმასრულებელი საბჭოს რიგით №74 სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოყოფა უზრუნველყოს სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული სპმთპ-ის 2018 წლის ბიუჯეტის შესაბამის მუხლიდან (აღმასრულებელი საბჭოს მომზადება-ჩატარება);

6. დაევალოს სპმთპ-ის კანცელარიის უფროსს (ქეთევან ვადაჭკორია) უზრუნველყოს აღმასრულებელი საბჭოს წევრთა გაფრთხილება და ბრძანებისა და დღის წესრიგის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა;
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს სპმთპ-ის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ.

პრეზიდენტი **მაია კობახიძე**